პროლეტარიელო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 75 (19517) ◆ პარასკევი, 28 მარტი, 1986 წელი. ◆ ფასი 3 კაპ.

„წითელი შაბათობა“ გვისწერს

რესპუბლიკის მშრომელები აქტიურად ემზადებიან ვ. ი. ლენინის დაბადების 116 წლისთავისადმი მიძღვნილი კომუნისტური შაბათობისათვის. მეთორმეტე ხუთწლედის სახტარტო წელს, სკკპ XXVII ყრილობის წელს იმუშაონ ეფექტიანად და უაირათიანად, გადააქციონ დიდი შრომის ნაყოფიერება ყოველი დღის ნორმად — ასეთი დევიზით მუშაობენ ისინი ამ დღეებში.

● **საამქროებისა** და ცვლების კოლექტივებმა, რომლებიც თბილისის დიმიტროვის სახელობის საავიაციო საწარმოო გაერთიანების მეთაური საწარმოს მშრომელთა სოციალისტურ შეჯიბრებას ლიდერობენ, მოწოდებით მიმართეს თანამოსაქმე ამხანაგებს. ისინი ყველა ავიამშენებელს მოუწოდებენ იმუშაონ 19 აპრილს წლის დამლევიდან დაზოგილი ნედლეულითა და მასალებით. საწარმოში ჩამოყალიბებული შაბათობის მომწყობი შტაბის წინასწარი მონასახით, გათვალისწინებულია, რომ მთლიანი პროდუქციის გამომუშავების საშუალო დღიური დავალება ამ დღეს მნიშვნელოვანი გადაჭარბებით შესრულდება.

„წითელი შაბათობისათვის“ მზადების პერიოდში და მისი მოწყობის დღეს ქარხნისა და მიმდებარე საცხოვრებელი მიკრორაიონების ტერიტორიაზე დაორგანება 10 ათასი ხე, მეტალურგიულ საწარმოებს კაუჩუკიანან 10 ტონაზე მეტ ლითონის ჯართს, ხუთწლედის ფონდში გადარიცხავენ რამდენიმე ათასს მანეთს.

● **თბილისის** ვ. ი. ლენინის სახელობის ელმავალსაშენებელ ქარხანაში გადაწყვეტეს კომუნისტური შაბათობის დღეს აწარმოონ ათობით ათასი მანეთის სასაქონლო პროდუქცია, აქედან, 3 ათასი მანეთისა — გადიდებული მოთხოვნის ფართო მოხმარების საქონელი.

შრომის ზეიმში მონაწილეობას მიიღებს რესპუბლიკის დედაქალაქის რამდენიმე ათასი ელმავალმშენებელი. შაბათობაზე გამომუშავებულ სახსრებს, რომლებიც 16 ათას მანეთს მიაღწევს, მეთორმეტე ხუთწლედის ფონდში გადარიცხავენ.

● **საბჭოთა** კომუნისტების ფორუმის მითითება — ყოველნაირად გავზარდოთ მეცნიერული ნამუშევრების უკუგება, განვამტკიცოთ მეცნიერების პარტნიორული კავშირი წარმოებასთან, სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „ანალიზხელსაწყოს“ კოლექტივისათვის მოქმედების პროგრამა გახდა. „წითელი შაბათობის“ დღეს ამ საკვლევ-საწარმოო კომპლექსის სპეციალისტთა რამდენიმე ნამუშევარი პირველად შეისხამს ხორცს ოთელ ელექტრონულ სქემებად და მზა ნაკეთობად იქცევა.

თითქმის 24 ათასი მანეთის პროდუქციას გამოუშვებენ 19 აპრილს თბილისელი ხელსაწყოთმშენებლები. მათ პირობა დადეს ხუთწლედის ფონდში გადარიცხონ ათას ხუთას მანეთზე მეტი.

● **ამიერკავკასიის** რკინიგზის თბილისის სალიანდაგო დისტანციის მუშები და ინჟინერ-ტექნიკური მუშაკები დადგნენ კომუნისტური შაბათობის აღსანიშნავ შრომითს ვახტზე. მათ პირობა დადეს დაზოგილი სათბობისა და ელექტროენერგიის ხარჯზე შეაკეთონ ორი კილომეტრი ლიანდაგი, ახლით შეცვალონ ექვსი საარსრე გადამყვანი და რვა ძელი. შრომითს მეტოქეობაში ტონს იძლევიან [illegible] — „წითელი შაბათობა“ [illegible] წილობა ჩემთვის და ჩემი ამხანაგებისათვის დიდი დღესასწაული და პატივია — თქვა მან მიტინგზე. — ვალდებულებას ვაკისრებთ ვ. ი. ლენინის დაბადების 116 წლისთავამდე დარჩენილ დღეებში ვიშრომოთ რეკორდული გამომუშავებით, ხოლო 19 აპრილს გამომუშავებული მთელი თანხა გადავრიცხოთ მეთორმეტე ხუთწლედის ფონდში.

● **ორი ათასი** მანეთის სხვადასხვა აღდგენით სამუშაოებს შეასრულებს მარნეულის მანქანა-ტრაქტორთა პარკის რემონტისა და ექსპლოატაციის საწარმოს კოლექტივი საკავშირო კომუნისტური შაბათობის დღეს.

საწარმოს ვეტერანმა პეტრე იუშკომ ვალდებულება აიღო რა უმაღლესი შრომის ნაყოფიერებით აღნიშნოს „წითელი შაბათობა“, ანალგაზრდა მუშებმა ბაბატინ ნაგიევმა, თემურ იმანოვმა, ანლიმან ველიევმა და სხვებმა გადაწყვიტეს მხარი დაუჭირონ თავიანთ დამრიგებელს.

ტრაქტორების, ძრავების, სატვირთო ავტომობილებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის რემონტი მხოლოდ მაღალი ხარისხის უნდა იყოს. ასეთია შრომის მომავალი დღესასწაულის მონაწილეთა დევიზი, რომელზეც ასი კაცი გამოვა.

● **ქუთაისი.** ელექტრომექანიკურ ქარხანაში დიდი შრომითი აღმავლობით ემზადებიან ვ. ი. ლენინის 116 წლისთავისადმი მიძღვნილი კომუნისტური შაბათობისათვის. აქ ერთსულოვნად გადაწყვეტეს ამ დღეს ყველანი გამოვიდეს სამუშაოზე. გამოიმუშაონ 70 ათასი მანეთის პროდუქცია, კეთილმოაწყონ და გალამაზონ საწარმოს ტერიტორია და მისი მიმდებარე ადგილები, შეაგროვონ ათობით ტონა ლითონის ჯართი. იმ დღეს იმუშაონ დაზოგილი მასალებითა და ნედლეულით.

მარნეული: საგაზაფხულო დაჩქარება

დიდთოვლობამ მარტში ესეკი ძალზე იშვიათი მოვლენაა რესპუბლიკისათვის — მხოლოდ დროებით შეაჩერა საადრეო კარტოფილის თესვა, რომელიც სწრაფი ტემპით მიმდინარეობდა მარნეულის რაიონის მეურნეობებში. მაგრამ როგორც კი მზე გამოვიდა და მიწა შეშრა, მინდერად კვლავ გავიდნენ ადამიანები და ტექნიკა. მაგალითად, ყიზილ-აჯლოს საბჭოთა მეურნეობის მშრომელები კარტოფილს რეკორდული ტემპით თესავენ — ყოველწლიურად ას ჰექტარს.

— უამინდობამ თუმცა რამდენადმე დაგვაგვიანა თესვის დაგდები, — თქვა უფროსმა ბრიგადის ხელმძღვანელმა ნიზამი ყურბანოვმა, — მაგრამ მაინც ვეროფერი დაგვაკლო. ჩვენ დაპირებისამებრ ივნისის პირველ რიცხვებში დავიწყებთ მოსავლის აღებას.

რას ემყარება ეს რწმენა?

მიმდინარე სეზონში, წინა წლებისაგან განსხვავებით, მეკარტოფილეებმა მოაწყვეს თესლის მეტი ნაწილის იაროვიზაცია. ამის მეოხებით კარტოფილის მოსავლის აღების დრომ უფრო ადრეული ვადებისათვის გადმოიწია. მეურნეობაში ზუსტად გრაფიკის მიხედვით განახორციელეს აგროტექნიკური ღონისძიებათა მთელი კომპლექსი, აწყობილად მოქმედება შვიდივე უგანაწესო ბრიგადა.

მეკარტოფილეებს დიდ დახმარებას გაუწევენ ახლახან ამოქმედებული ტბილისი-კუმისის სარწყავი სისტემა. ნაყოფიერი გახდა წინათ გამოუყენებელი 135 ჰექტარი მიწა. სპეციალისტთა პროგნოზების თანახმად, მელიორაციის შედეგად დაგვემილი 115 ცენტნერის ნაცვლად აქ ყოველ ჰექტარზე სულ ცოტა 120 ცენტნერს მოიწევენ. სწორედ ეს მაჩვენებელი შეიტანეს ყიზილ-აჯლოელმა მეკარტოფილეებმა სოციალისტურ ვალდებულებებში.

მარნეული რესპუბლიკაში საადრეო კარტოფილის ერთ-ერთი ძირითადი მწარმოებელია. წელს რაიონის მშრომელები ოცდაათი ათას ტონა საადრეო კარტოფილს აწარმოებენ. მისი მნიშვნელოვანი ნაწილი საერთო-საკავშირო ფონდში გაიგზავნება.

ს. გორელოვი.

ზრომითი ვახტი გრძელდება

რეკონსტრუქცია უზრუნველყოფს ხარისხს

თბილისის 1 მაისის სახელობის სამკერვალო ფაბრიკაში განხორციელდება რეკონსტრუქცია, რომლის მიზანია მიაღწიონ, რომ პროდუქცია შეესაბამებოდეს მსოფლიო სტანდარტების დონეს. საწარმო, რომელიც მამაკაცის ტანსაცმლის კერვაზე სპეციალდება, გამოუშვებს 20 ახალი ნიმუშის პროდუქციას. 60-დან 80 მილიონ მანეთამდე გაიზრდება წარმოების წლიური მოცულობა.

ყოველივე ამას მიაღწევენ, უწინარეს ყოვლისა, ფაბრიკის სრული ტექნიკური განახლების შედეგად. აქ დადგამენ რიცხვული პროგრამული მართვის კომპლექსურ-მექანიზებულ ხაზებს, დანერგავენ ნაწარმის კონსტრუირებისა და ქსოვილის გამოჭრის ავტომატიზებულ სისტემებს. გამოჭრისა და კერვის ყველაზე რაციონალური ხერხები, მოწყობილობის განლაგების ახალი სქემა ნაწარმის დამზადების დროის არსებითად შემცირების საშუალებას შექმნის. მაგალითად, თუ ახლა შამაკაცის პალტოს შეკერვას 4-5 საათს უნდებიან, რეკონსტრუქციის შემდეგ კი მაჩვენებელი 2-6 საათამდე შემცირდება.

გაერთიანება „საქმკერმრეწვი“, რომელშიც შედის ფაბრიკა, ერთ-ერთი უდიდესია რესპუბლიკის მსუბუქი მრეწველობის სისტემაში. მასში შედის 28 საწარმო, რომლებიც დარგის წარმოების მთელი მოცულობის მეხუთედს უშვებენ.

— ტექნიკური განახლება საფუძვლად დაედო ხარისხის პროგრამას, რომელიც ხორციელდება გაერთიანებაში, — უთხრა საქინფორმის კორესპონდენტს გაერთიანების უფროსმა ვ. გეგეძემ. — მეთორმეტე ხუთწლედში განხორციელდება მეტი წილი დიდი საწარმოების რეკონსტრუქცია. ამ საქმეში ჩვენი პარტნიორები და თანაშემწეები გახდებიან ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრ ბევრ ქვეყანაში მომუშავე ჩვენი კოლეგები. მაგალითად, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის მკერავებთან ერთობლივი მუშაობის დიდი გამოცდილება გვაქვს შეძენილი. უნგრელი მეგობრების დახმარებით ხელახლა აღიჭურვა წყნეთის ფაბრიკა, რეკონსტრუქციის შემდეგ ამუშავდა თბილისის ს. ორჯონიკიძის სახელობის ფაბრიკის პირველი რიგი, მთავრდება მისი მეორე რიგის რეკონსტრუქცია.

თბილისის 1 მაისის სახელობის სამკერვალო ფაბრიკის რეკონსტრუქცია განხორციელდება საფრანგეთის ფირმის „ჟან-ჟანეტის“ დახმარებით.

ამოქმედდა მარტენის ღუმელი

ვანდაზე ხუთი დღით ადრე დამთავრდა რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მეორე მარტენის ღუმლის კაპიტალური რემონტი. 27 მარტს დაიწყეს მისი გახურება. დროის მოგება საწარმოს დამატებით 2500 ტონა ფოლადის გამოშვების გარანტია აძლევს.

— მერემონტეებმა არსებითად ახალი ღუმელი გადმოგვცეს, — თქვა მეფოლადე გ. ფანჩვიძემ. — თუმცა იგი უფრო გამარტივებული კონსტრუქციისაა, ერთკამერიანი, მაგრამ მთელი რიგი უპირატესობანი აქვს წინანდელთან შედარებით: ათი კვადრატული მეტრით არის გადიდებული ქვედის ფართობი, ესე იგი გაიზრდება ლითონის გამოსავლიანობა, სრულყოფილია მთავარი კამარა, თანამედროვე მექანიზმები შეამუშუშებენ მეფოლადეთა შრომას, უფრო ნაყოფიერს გახდიან მას.

ეს უკვე რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მეშვიდე ღუმელია, რომლის რეკონსტრუქცია მოახდინა „ცენტრბრძედრემონტის“ ტრესტის ამიერკავკასიის სპეციალიზებული სამშენებლო-სამონტაჟო სამმართველოს კოლექტივმა. წლის დამლევისათვის მერვე ღუმლის რიგი დადგება.

— რეკონსტრუქციისათვის მეოქმნტეებმა გამოიყენეს ჩვენი სპეციალისტების მიერ შემუშავებული დემონტაჟირებად და დასამონტაჟებელ კონსტრუქციათა მაქსიმალური გამსხვილების ტექნოლოგია, — თქვა სამმართველოს უფროსმა ნ. მაისურაძემ. — მაგალითად, ერთ კვანძად აიწყო ღუმლის კარკასის ლითონკონსტრუქციები. ეს ხუთას ტონაზე მეტი წონის ღუმელი გადატანეს მარტენის საამქროს ორი სამსმელო ამწეთი და დადგეს დროებით საძირკველზე, შემდეგ კი — საპროექტო ნიშნულზე. უფრო სწრაფად აეწყო საქმე ცეცხლგამძლე ბლოკების მექანიზებული მონტაჟის მეოხებითაც, რომლითაც ნაწილობრივ შეცვალეს აგური. წინანდელი ღუმლის დასაშლელად ტელესკოპურისრიანი ექსკავატორი გამოიყენეს იმავე მიზნით რემონტის ვადამდე დამთავრებისათვის.

პროფესიულად, ზუსტად და შეთანხმებულად მოქმედებდნენ რეკონსტრუქციის დროს ვახტანგ ზაქარაშვილის, ალეკსი გრიცაის, ნიკოლოზ ლუშნიკოს, არტურ ახალაიას, ფერზულა ფეიზულაევის, გრიგოლ მენთეშაშვილის ბრიგადები. №2 მარტენის ღუმლის განახლება საწარმოს ხელახალი ტექნიკური აღჭურვისათვის გამიზნული პირველი დიდი მასშტაბის ღონისძიებაა მიმდინარე ხუთწლედში. მერემონტეებმა მიმდინარე წელს აგრეთვე უნდა გაარემონტონ სააგლომერაციო ფაბრიკა, ექვსი საგლინი დგანი...

მეთორმეტე ხუთწლედში, როგორც ეს განსაზღვრულია ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური განვითარების ძირითადი მიმართულებებით, დაიწყება რუსთავის მეტალურგიული ქარხნის რეკონსტრუქცია. მისი ტექნიკური განახლება უკვე კაპიტალური რემონტების დროს ლითონპროდუქციის გამოშვების გადიდების, მისი ხარისხის არსებითი გაუმჯობესების ერთ-ერთი საიმედო რეზერვია.

(საქინფორმი).

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს მორიგ სხდომაზე განხილა კადრების მომზადებისა და მათი კვალიფიკაციის ამაღლებისათვის რუსთავის საწარმოო გაერთიანებების „აზოტისა“ და „ქიმბოჭკოს“ და ბათუმის ნავთობგადასამუშავებელი ქარხნის — ამხ. ე. გაბრიჩიძეს, ბათუმის ნავთობგადასამუშავებელი ქარხნისა — ამხ. ა. ჩინჩალაძეს ინჟინერ-ტექნიკური მუშაკების ატესტაციის გეგმების შეუსაბამობისა და ამ დიდმნიშვნელოვან საქმეში ფორმალიზმისათვის მკაცრად მიეთითათ. დაისახა დასაბუთებულ საწარმოებში კადრების მომზადებისა და მათი კვალიფიკაციის ამაღლებისათვის მუშაობის ძირეული გარდატეხის უზრუნველყოფის ღონისძიებანი. საქართველოს კომპარტიის ბათუმისა და რუსთავის საქალაქო კომიტეტებს დაეკალათ განხილულ იქ პირთა პერსონალური პასუხისმგებლობის საკითხი, რომლებიც უშუალოდ აგებენ პასუხს ამ მიმართულებით მუშაობისათვის.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურომ განხილა რესპუბლიკაში მუქთახორობასთან ბრძოლის მდგომარეობა და ამ ბრძოლის გაძლიერების ღონისძიებები სკკპ XXVII ყრილობის მოთხოვნათა შესაბამისად. აღინიშნა, რომ მუქთახორობის პროფილაქტიკისათვის ბევრი პარტიული, საბჭოთა და ადმინისტრაციული ორგანოს საქმიანობაში არსებული სერიოზული ხარვეზებისა და ნაკლოვანებების შედეგად ეს პრობლემა კვლავაც ერთ-ერთი ყველაზე აქტუალური და საჭირბოროტო. ადგილებზე ყოველთვის ვერ უზრუნველყოფენ ყველა დაინტერესებული ორგანოს მეცადინეობის სათანადო კოორდინაციას, არ ეწევიან სისტემატიურ და მიზანდასახულ მუშაობას მუქთახორობასთან საბრძოლველად. ცენტრალური კომიტეტის ბიურომ მუშაობა, რომელსაც მცხეთის რაიონში, ქ. თბილისის ლენინის, 26 კომისრის რაიონებში და ქ. ფოთში ეწევიან მუქთახორობის პროფილაქტიკისა და პარაზიტიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად, არადამაკმაყოფილებლად ცნო, რადგან იგი არ შეესაბამება სკკპ XXVII ყრილობის მოთხოვნებს. პარტიის მცხეთის, ლენინის, 26 კომისრის რაიონებისა და ფოთის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივნების ყურადღება მიაპყრეს იმას, რომ ძირეულად უნდა გაუუჯობესონ ამ მუშაობისადმი პარტიული ხელმძღვანელობა და კონტროლი.

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს დაეკალა განხილოს მცხეთისა და ქ. თბილისის ლენინის რაიონების შინაგან საქმეთა განყოფილებების უფროსების პერსონალური პასუხისმგებლობის საკითხი.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურომ პარტიის საოლქო, საქალაქო, რაიონულ კომიტეტებს დაავალა მიიჩნიონ მუქთახორობასთან ბრძოლის გაძლიერება სოციალისტური მართლწესრიგის განმტკიცების მორალურ-ფსიქოლოგიური კლიმატის გაჯანსაღების უმნიშვნელოვანეს პირობად, უფრო მეტად მოაქცევონ და მოსთხოვონ პასუხი საბჭოთა, სამართალდაცვითი, სამეურნეო ორგანოებისა და შრომის სახელმწიფო კომიტეტის ორგანოების ხელმძღვანელებს ამ მუშაობის მდგომარეობისათვის, მისი ფორმალიზმისა და მოჩვენებითობის აღმოფხვრისათვის, უმკაცრესი პარტიული პასუხისმგებლობა დააკისრონ თანამდებობის პირებს, რომლებიც ვერ უზრუნველყოფენ, რომ მუქთახორა ელემენტების მიმართ ხორციელდებოდეს კონკრეტული ღონისძიებანი.

განიხილა რა „ცეკავშირის“ სისტემაში სახელმწიფო დისციპლინის უხეშ დარღვევათა ფაქტები, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურომ ხაზგასმით აღნიშნა, რომ საქართველოს სამომხმარებლო კავშირის გამგეობის მხრივ უკონტროლობის პირობებში გაერთიანება „საქკოოპსოფლმრეწვდამზადებავაჭრობაში“ შეიქმნა უპასუხისმგებლობისა და წაყრუების ატმოსფერო. ამის შედეგად არ სრულდება საქონელბრუნვის გეგმა, შესაძლებელი გახდა გაფლანგვის, დატაცების ფაქტები და სხვა უხეში დარღვევები. „ცეკავშირის“ გამგეობის მუშაობა ნეგატიურ მოვლენათა წინააღმდეგ ბრძოლისათვის, საგეგმო დავალებათა შესრულებისა და კოოპერაციული საკუთრების დაცვა-შენახვის უზრუნველყოფისათვის, კადრების შერჩევის, აღზრდისა და განაწილებისათვის მიჩნეულ იქნა არადამაკმაყოფილებლად.

ხელმძღვანელობის შესუსტებისათვის, სერიოზული ნაკლოვანებებისა და დარღვევებისადმი შემრიგებლური დამოკიდებულებისათვის სკკპ წევრს, „ცეკავშირის“ გამგეობის თავმჯდომარეს ამხ. კ. მავიშვილს გამოეცხადა საყვედური სააღრიცხვო ბარათში შეტანით.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს დაეთანხმა საქართველოს სამომხმარებლო კავშირის გამგეობის წინადადებას იმის თაობაზე, რომ „ცეკავშირის“ გამგეობის თავმჯდომარის მოადგილე, სკკპ წევრი ამხ. გ. მარდანოვი განთავისუფლდეს თანამდებობიდან დოყლაპობისა და ისეთი მოქმედებისათვის, რომელიც ხელს უწყობდა საფინანსო-სამეურნეო საგეგმო დისციპლინის სხვადასხვაგვარ დარღვევებს და ყოველგვარ მაქინაციებს.

მუშაობაში დაშვებული უხეში დარღვევებისათვის თანამდებობიდან განთავისუფლეს გაერთიანება „საქკოოპსოფლმრეწვდამზადებავაჭრობის“ თავმჯდომარე, სკკპ წევრი ამხ. ვ. ფირანიშვილი. გ. მარდანოვისა და ვ. ფირანიშვილის პარტიული პასუხისმგებლობის საკითხის განხილვა დაეკალა პარტიის თბილისის კალინინის რაიკომს. პარტიის რაიკომი განიხილავს აგრეთვე „ცეკავშირის“ პპარტიის პარტიული კომიტეტის მდივნის ამხ. თ. სხირტლაძის პარტიული პასუხისმგებლობის საკითხს.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს სხდომაზე განიხილეს რესპუბლიკის სახალხო-სამეურნეო და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების ზოგიერთი სხვა საკითხიც.

(საქინფორმი).

ურთიერთგაგების ვითარებაში

26 მარტს კრემლში მოლაპარაკება გამართეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა მ. ს. გორბაჩოვმა და ალჟირის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის პრეზიდენტმა, ეროვნული განთავისუფლების ფრონტის პარტიის გენერალურმა მდივანმა შადლი ბენჯედიმ.

მოლაპარაკებაში მონაწილეობდნენ:

საბჭოთა კავშირის მხრივ — სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. ა. გრომიკო, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ე. ა. შევარდნაძე, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრი ს. ლ. სოკოლოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ა. თ. დობრინინი, სხვა ოფიციალური პირნი;

ალჟირის მხრივ — შ. ბენჯედიდის თანმხლები ოფიციალური პირნი.

მეგობრობისა და ურთიერთგაგების ვითარებაში მიმდინარე მოლაპარაკების დროს მხარეებმა ერთმანეთს გაუზიარეს ინფორმაცია სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დარგში სსრ კავშირისა და ალჟირის მიღწევებისა და ორი ქვეყნის ხალხთა წინაშე მდგომი ამოცანების შესახებ.

მ. ს. გორბაჩოვმა სტუმარს გააცნო, თუ როგორ მიმდინარეობდა სკკპ XXVII ყრილობა, რომელმაც მიიღო სკკპ პროგრამის ახალი რედაქცია, დაამტკიცა პარტიის წესდების ცვლილებები და მოიწონა სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1986-1990 წლებისა და 2000 წლამდე პერიოდის ძირითადი მიმართულებანი.

გაიმართა საფუძვლიანი აზრთა გაზიარება თანამედროვე საერთაშორისო ვითარების პრობლემებზე, მათ შორის, საბჭოთა კავშირის ბოლოდროინდელ ინიციატივებზე, რომელთა მიზანია თავიდან იქნეს აცილებული ბირთვული საფრთხე და შეწყდეს გამალებული შეიარაღება, დამკვიდრდეს და განმტკიცდეს საყოველთაო მშვიდობა. ალჟირის მხარის აყურადღება მიეპყრო ბირთვული იარაღის ლიკვიდაციის პროგრამას, რომელიც სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის მ. ს. გორბაჩოვის 15 იანვრის განცხადებაშია ჩამოყალიბებული, პარტიის XXVII ყრილობაზე წამოყენებულ წინადადებებს საერთაშორისო უშიშროების ყოვლისმომცველი სისტემის შექმნის შესახებ.

ახლო აღმოსავლეთის მდგომარეობის განხილვისას მხარეებმა შეშფოთება გამოთქვეს იმის გამო, რომ რეგიონში არ ცხრება ავისმომასწავებელი ვითარება. დადასტურდა, რომ ახლო აღმოსავლეთის პრობლემის სამართლიანი და მტკიცე მოწესრიგება შეიძლება მიღწეულ იქნეს მხოლოდ პრინციპულ საფუძველზე, რომელიც ითვალისწინებს ისრაელის ჯარების გაყვანას 1967 წელს ოკუპირებული ყველა ტერიტორიიდან, და პალესტინის არაბი ხალხის ხელშეუვალ ეროვნულ უფლებათა უზრუნველყოფას, აგრეთვე ანგარიშს უწევს რეგიონის ყველა ქვეყნისა და ხალხის კანონიერ ინტერესებს. მოლაპარაკების მონაწილეებმა საჭიროდ ცნეს გააქტიურდეს საბჭოთა კავშირისა და ალჟირის, სხვა არაბული ქვეყნების შეთანხმებული მეცადინეობა, რათა მოწვეულ იქნეს საერთაშორისო კონფერენცია, რომელიც ახლო აღმოსავლეთის ყოვლისმომცველი მტკიცე და სამართლიანი მოწესრიგების მიღწევის პრაქტიკული გზაა.

მოლაპარაკების დროს მკაცრად დაგმეს სუვერენული ლიბიის სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართული ამერიკის შეერთებული შტატების აგრესიული აქციები, დაადასტურეს, რომ სოლიდარობენ ლიბიელ ხალხს მისთვის ამ ძნელ ჟამს.

მოლაპარაკების დროს აღინიშნა, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს მთელი პროგრესული და მშვიდობისმოყვარე ძალების თანამოქმედების განმტკიცებას ბირთვული ომის საფრთხის თავიდან აცილების, საერთაშორისო უშიშროების დამკვიდრების, ხალხთა დამოუკიდებლობისა და სოციალური პროგრესის უფლებათა უზრუნველყოფისათვის ბრძოლაში.

მოლაპარაკება გაგრძელდება.

* * *

ამავე დღეს მ. ს. გორბაჩოვი კრემლში შეხვდა შ. ბენჯედიდს. მ. ს. გორბაჩოვმა და შ. ბენჯედიდმა მაღალი შეფასება მისცეს ორი მეგობარი ქვეყნისა და ხალხის ურთიერთობის ხასიათსა და დონეს. მათ გამოთქვეს დიდი კმაყოფილება ნდობის, ურთიერთგაგებისა და სიმპათიის ატმოსფეროს გამო, რომელიც ახასიათებს ორი სახელმწიფოსა და პარტიის ხელმძღვანელთა ურთიერთობასა და საბჭოთა კავშირისა და ალჟირის მოლაპარაკების მთელ მიმდინარეობას.

დადასტურდა, რომ სსრ კავშირისა და ალჟირის ურთიერთობა ორი სახელმწიფოს ხანგრძლივი ინტერესების ბაზას ეფუძნება და შემდგომი ყოველმხრივი განვითარების კარგი პერსპექტივები აქვს. გამოითქვა ორმხრივი მზადყოფნა, რომ ნებისმიერი პრობლემა, რომლებიც ამ ურთიერთობაში შეიძლება წარმოიშვას, გადაწყვეტონ ისე, როგორც მეგობარ ქვეყნებს შორის არის მიღებული.

საუბრის დროს განიხილეს ორმხრივი თანამშრომლობის უმნიშვნელოვანესი საკითხები, ორივე ქვეყნისათვის განსაკუთრებით საინტერესო მწვავე რეგიონული პრობლემები, ამ მომენტისათვის შექმნილი ზოგადი საერთაშორისო სიტუაცია.

* * *

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა და სსრ კავშირის მთავრობამ კრემლის დიდ სასახლეში სადილი გამართეს სტუმრის პატივსაცემად.

—სადილად იყვნენ ამხანაგები მ. ს. გორბაჩოვი, ა. ა. გრომიკო, ნ. ი. რიჟკოვი, ე. ა. შევარდნაძე, პ. ნ. დემიჩევი, ს. ლ. სოკოლოვი, ნ. ვ. ტალიზინი, ა. თ. დობრინინი, ა. ნ. იაკოვლევი, სხვა ოფიციალური პირნი.

მეგობრულ ვითარებაში მიმდინარე სადილზე მ. ს. გორბაჩოვმა და შ. ბენჯედიდმა წარმოთქვეს სიტყვები, რომლებიც დამსწრეთ დიდი ყურადღებით მოისმინეს და ხანგრძლივი ტაშით შეხვდნენ.

* * *

ალჟირის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის ხელმძღვანელი იყო ვ. ი. ლენინის მავზოლეუმში და გვირგვინით შეამკო იგი. გვირგვინი მიიტანეს აგრეთვე კრემლის გალავანთან დაკრძალული უცნობი ჯარისკაცის საფლავზე. (საკდესი).



სურათებზე: შეხვედრები კრემლში. (საკდეს-საქინფორმის ტელეფოტო).

საქმესპლოატაციოდ გადაეცა

გორი. (საკ. კორ.). ძევერის საბჭოთა მეურნეობაში ამენდა და საექსპლოატაციოდ გადაეცა 3000 ტონა ტევადობის მაცივარი, რომლის მეშვეობითაც ამიერიდან ხილს ხანგრძლივად შეუნარჩუნდება ხარისხი.

კონტეინერმზიდთა საშუალებით აქ მთლიანად მექანიზებულია ხილის დატვირთვა-გადმოტვირთვის სამუშაოები.

მიფრინავს „კოსმოს-1737“

1986 წლის 25 მარტს საბჭოთა კავშირში გაუშვეს დედამიწის მორიგი ხელოვნური თანამგზავრი „კოსმოს-1737“.

თანამგზავრზე დადგმული სამეცნიერო აპარატურა, რომელიც გააგრძელებს კოსმოსური სივრცის კვლევას, ნორმალურად მუშაობს. საკოორდინაციო-გამოთვლითი ცენტრი ამუშავებს მიღებულ ინფორმაციას.

(საკდესი).

ეროვნული ბიბლიოთეკა

მექანიზმების საშუალებით

ფოთი. ახლა ელექტრომანქანური გამაძლიერებლების ქარხანაში ხვიებისა და ოთხი სხვა კვანძის გამოშვების ყველა შრომითს ოპერაციას მექანიზმები ასრულებენ. ეს შესაძლებელი გახდა სამი მძლავრი ჩარხის ვადაზე ადრე დამონტაჟებისა და საექსპლოატაციოდ გადაცემის შედეგად.

სიახლეთა დანერგვისათვის ბრძოლაში თავი გამოიჩინეს ახალგაზრდა ინჟინრებმა ე. კარანაძემ, თ. წიქორიძემ და სხვებმა, რომლებმაც სკკპ XXVII ყრილობისათვის მზადების დღეებში სამ-სამი რაციონალიზატორული წინადადება დანერგეს და საწარმოს ხუთი ათასი მანეთი დაუზოგეს.

ახლა ისინი იმისათვის იღვწიან, რომ წლის ბოლომდე დანერგონ შვიდი რაციონალიზატორული წინადადება და ქარხნის მიერ გამოშვებული პროდუქციის საერთო ოდენობაში ხელის შრომის წილი კიდევ ხუთი პროცენტით შეამცირონ.

სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრის ბრძანება

1986 წლის 25 მარტი № 68 ქ. მოსკოვი

სსრ კავშირის შეიარაღებული ძალებიდან 1986 წლის აპრილ-ივნისში იმ სამხედრო მოსამსახურეთა თადარიგში დათხოვნის შესახებ, რომლებმაც გაიარეს ნამდვილი სამხედრო სამსახურის დადგენილი ვადა, - და ნამდვილ სამხედრო სამსახურში მოქალაქეთა მორიგი გაწვევის შესახებ

„საყოველთაო სამხედრო ვალდებულების შესახებ“ სსრ კავშირის კანონის შესაბამისად **ბრძანებს:**

1. დათხოვნილ იქნენ თადარიგში საბჭოთა არმიის, სამხედრო-საზღვაო ფლოტის, სასაზღვრო და შინაგანი ჯარების რიგებიდან 1986 წლის აპრილ-ივნისში ვადიანი სამსახურის სამხედრო მოსამსახურენი, რომლებსაც ნამდვილი სამხედრო სამსახურის ვადა გაუდით.

2. თადარიგში სამხედრო მოსამსახურეთა დათხოვნასთან დაკავშირებით ამ ბრძანების პირველი პუნქტის შესაბამისად საბჭოთა არმიის, სამხედრო-საზღვაო ფლოტის, სასაზღვრო და შინაგანი ჯარების ნამდვილ ვადიან სამხედრო სამსახურში 1986 წლის აპრილ-ივნისში გაწვეულ იქნენ მამრობითი სქესის მოქალაქენი, რომლებსაც გაწვევის დღისათვის უსრულდებათ 18 წელი, არა აქვთ გაწვევის გადავადების უფლება, აგრეთვე უფროსი გასაწვევი ასაკის მოქალაქენი, რომლებსაც გაუვიდათ გაწვევის გადავადების ვადა.

3. ეს ბრძანება გამოცხადდეს ყველა ასეულში, ბატარეაში, ესკადრილიაში და ხომალდზე.

სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრი, საბჭოთა კავშირის მარშალი ს. სოკოლოვი.

სკკპ XXVII ყრილობის გადაწყვეტილებანი მოქმედების სახელმძღვანელოა!

სკკპ XXVII ყრილობის შედეგების შესახებ მოხსენებების, ლექციებისა და საუბრების სანიმუშო თემატიკა

სკკპ XXVII ყრილობა სტრატეგიულ გადაწყვეტილებათა ყრილობაა, ქვეყნის, მთლიანად თანამედროვე მსოფლიოს ცხოვრების მკვეთრი გარდატეხის ეტაპზე.

პარტიის XXVII ყრილობისადმი სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური მოხსენების ნოვატორული ხასიათი. სკკპ XXVII ყრილობის გადაწყვეტილებათა თეორიული მნიშვნელობა.

სკკპ XXVII ყრილობის მუშაობა, გაკეთილები და შედეგები. პარტიის ლენინური ტრადიციების განვითარება, პარტიული პრინციპიულობისა და ბოლშევიკური სიმართლის განსახიერებაა.

მარქსისტულ-ლენინური ფილოსოფიის, პოლიტეკონომიისა და მეცნიერული კომუნიზმის აქტუალური პრობლემები სკკპ XXVII ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად.

ქვეყნის სოციალ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარება, ქვეყნად მშვიდობის განმტკიცება სკკპ XXVII ყრილობის გენერალური გეზია.

აპრილის პლენუმის კურსის როლი და მნიშვნელობა პარტიის გენერალური გეზის შემუშავებაში.

სკკპ პროგრამის ახალი რედაქცია სოციალიზმის გეგმაზომიერი და ყოვლმხრივი სრულყოფის, ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარების საფუძველზე კომუნიზმისაკენ შემდგომი წინსვლის პროგრამაა.

საწარმოო ძალების და წარმოებითი ურთიერთობის დიალექტიკა სოციალიზმის პირობებში.

რადიკალური გარდაქმნები ცხოვრების ყველა სფეროში, საბჭოთა საზოგადოების თვისებრივად ახალი მდგომარეობის მიღწევა ისტორიული მასშტაბის ამოცანაა.

სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1886-1990 წლებისა და 2000 წლამდე პერიოდის ძირითადი მიმართულებანი.

მკვეთრი შემობრუნება წარმოების ინტენსიფიკაციისაკენ, ხარისხის გაუმჯობესებისა და ეფექტიანობის გადიდებისაკენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის სტრატეგიული მიზანდასახულობაა.

მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის კარდინალური დაჩქარება, სახალხო მეურნეობის რეკონსტრუქცია წარმოების ეფექტიანობის გადიდების მთავარი ბერკეტია.

მეცნიერება და ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარება.

შრომის ნაყოფიერების უმაღლესი მსოფლიო დონის მიღწევის გზების შესახებ.

სტრუქტურული და საინვესტიციო პოლიტიკის მთავარი მიმართულებანი.

სახალხო მეურნეობის ყველა დარგში მანქანათმშენებლობის ზრდის ტემპის დაჩქარება მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის საფუძველია.

პროდუქციის ხარისხი — საუკეთესო საბჭოთა და მსოფლიო მიღწევების დონეზე.

სასურსათო პრობლემის გადაჭრა უპირველესი ამოცანაა.

სკკპ XXVII ყრილობა თანამედროვე პირობების შესაბამისად სასურსათო გადასახადის ლენინური იდეის შემოქმედებითი გამოყენების შესახებ.

სამეურნეო მექანიზმის რეფორმის, მართვის მთლიანი, ეფექტიანი და მოქნილი სისტემის შექმნის ძირითადი მიმართულებანი.

მეთორმეტე ხუთწლედის ამოცანები და თავისებურებანი.

ავამოქმედოთ სახალხო მეურნეობის ყველა რეზერვი.

საზოგადოების ყველა წევრის სრული კეთილდღეობისა და თავისუფალი ყოველმხრივი განვითარების მიღწევა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის საპროგრამო მიზანია.

სკკპ XXVII ყრილობა პარტიის აქტიური, ძლიერი, მთლიანი სოციალური პოლიტიკის, სოციალურ-კულტურული სფეროსაკენ მტკიცე შემობრუნების შესახებ.

სოციალურ-კლასობრივი და ეროვნული ურთიერთობის სრულყოფა.

სოციალიზმი ხალხის ცოცხალი შემოქმედებაა. ადამიანის ფაქტორის გადამწყვეტი როლი.

სოციალური სამართლიანობა ხალხის ერთიანობის, საზოგადოების პოლიტიკური სტაბილურობისა და განვითარების დინამიზმის უმნიშვნელოვანესი პირობაა.

სკკპ XXVII ყრილობა შრომის ოდენობისა და მოხმარების ოდენობისადმი კონტროლის, უშრომელი შემოსავლის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების აუცილებლობის შესახებ. ხალხის სოციალისტური თვითმმართველობის გაორმაგება საბჭოთა საზოგადოების პოლიტიკური სისტემის განვითარების სტრატეგიული გეზია.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია სოციალისტური თვითმმართველობის განვითარების წამყვანი ძალა და მთავარი გარანტი, საზოგადოებრივ-პოლიტიკური თვითმმართველი ორგანიზაციის უმაღლესი ფორმაა.

სკკპ XXVII ყრილობა სახალხო დეპუტატთა საბჭოების როლის შემდგომი გადიდების, მათი აქტიურობის, დამოუკიდებლობისა და პასუხისმგებლობის გაძლიერების შესახებ.

სახელმწიფო აპარატის, მართვის ყველა ორგანოს მუშაობის სრულყოფა, უწყებრიობის, კუთხურობის, ბიროკრატიზმის აღმოფხვრა დიდი მნიშვნელობის საქმეა.

უშუალო დემოკრატიის ყველა ფორმის ეფექტიანი გამოყენება, ხალხის მასების პირდაპირი მონაწილეობა გადაწყვეტილებების შემუშავებაში, მიღებასა და შესრულებაში პარტიის საპროგრამო დებულებაა.

საბჭოთა ადამიანის სოციალური, პოლიტიკური და პირადი უფლებები და თავისუფლებები.

სოციალიზმი ბალანსირებული ეროვნული ურთიერთობის სრულყოფა.

სოციალიზმი ხალხის ცოცხალი შემოქმედებაა. ადამიანის ფაქტორის გადამწყვეტი როლი.

სოციალური სამართლიანობა ხალხის ერთიანობის, საზოგადოების პოლიტიკური სტაბილურობისა და განვითარების დინამიზმის უმნიშვნელოვანესი პირობაა.

სკკპ XXVII ყრილობა შრომის ოდენობისა და მოხმარების ოდენობისადმი კონტროლის, უშრომელი შემოსავლის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების აუცილებლობის შესახებ. ხალხის სოციალისტური თვითმმართველობის გაორმაგება საბჭოთა საზოგადოების პოლიტიკური სისტემის განვითარების სტრატეგიული გეზია.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია სოციალისტური ინტერნაციონალიზმის, ეროვნული ურთიერთობის, ეროვნული თვითმმართველობის, ეროვნული-პოლიტიკური ორგანიზაციების, ეროვნული ენების, ეროვნული ფერხულების, ეროვნული ფერწერული სკოლების, ეროვნული ფილარმონიების, ეროვნული ბალეტების, ეროვნული ოპერების, ეროვნული ფილმების, ეროვნული ლიტერატურული ჟურნალების, ეროვნული ეკონომიკური, სოციალურ-ეკონომიკური, ეროვნული-კულტურული, ეროვნული-ბუნებრივ-ეკოლოგიური, ეროვნული-ტექნიკური, ეროვნული-ტექნოლოგიური, ეროვნული-ტექნიკურ-ეკონომიკური, ეროვნული-ტექნიკურ-ეკონომიკურ-ეკოლოგიური, ეროვნული-ტექნიკურ-ეკონომიკურ-ეკოლოგიურ-ეკონომეტრიული, ეროვნული-ტექნიკურ-ეკონომიკურ-ეკოლოგიურ-ეკონომეტრიულ-ეკონომეტრიკული, ეროვნული-ტექნიკურ-ეკონომიკურ-ეკოლოგიურ-ეკონომეტრიულ-ეკონომეტრიკულ-ეკონომეტრიკულ-ეკონომეტრიკ

მსოფლიოში

ფაქტები • მოვლენები

სოციალისტურ ქვეყნებში

ბულგარეთი — საყრილობო შრომითი პატაკები

სოფია. ბულგარეთის ქარხნებისა და ფაბრიკების, აგროსამრეწველო კომპლექსების კოლექტივები ამ დღეებში დამკვრელური შრომით მოპოვებულ წარმატებებს უძღვნიან ბულგარეთის კომპარტიის მომავალ XIII ყრილობას. ვარნელმა მემონტაჟეებმა არ გატეხეს სიტყვა — ვადამდე 13 დღით ადრე შეესრულებინათ პირველი კვარტლის გეგმა. ამ ხნის განმავლობაში მათ აითვისეს სამ მილიონზე მეტი ლევი კაპიტალური დაბანდება. მემონტაჟეები მონაწილეობენ კოზლოდუის ატომური ელექტროსადგურის, რადომირისა და რუსეს მძიმე მანქანათმშენებლობის კომბინატების აგებაში. ყრილობამდე დარჩენილ დღეებში ვარნელ მემონტაჟეთა კოლექტივმა ვალდებულება იკისრა გეგმის გადამეტებით აითვისოს 210 ათასი ლევი კაპიტალური დაბანდება.

პირველი კვარტალის დავალების შესრულება უპატაკეს სახელმწიფოს ბულგარელმა მეთევზეებმა. მათ გადაწყვიტეს თვის დამლევამდე ქვეყანას დამატებით მისცენ 150 ტონა თევზი.

შრომითი რეკორდი დაამყარეს აგრეთვე გაბროვოს მანქანათსაშენებელი კომბინატის მშრომელებმა. ერთ დღეში აქ გამოუშვეს 440 ელექტროლესფერი. ამ გამარჯვებაში თავიანთი წვლილი შეიტანეს კომბინატში შემავალი ვიდიენ ქარხნის მუშებმა, რომლებიც ყრილობისწინა დღეებში დიდი ენთუზიაზმით შრომობენ.

უნგრეთი — აახლებენ ასორტიმენტს

ბუდაპეშტი. გავაუმჯობესოთ პროდუქციის ხარისხი უმაღლესი ტექნიკური მიღწევების დონემდე — ასეთ ამოცანას წყვეტს ბუდაპეშტის ჩეპელის ჩარხსაშენებელი ქარხნის კოლექტივი. ამ საწარმოში უპირველესი ყურადღება ეთმობა გამოშვებული მანქანების ასორტიმენტის განახლებას. ქარხნის უზარმაზარ საამწყობო საამქროში ჩამწკრივებულია დამმუშავებელი ცენტრები, მიკროპროცესორული მართვის ავტომატიზებული ჩარხები. ერთ-ერთ მათგანთან საკვლევის კორესპონდენტი შეხვდა მოწინავე კოლექტივის ბრიგადის წევრებს, რომლებიც პროდუქციის გამართვაზე მუშაობენ. ამჟამად, თქვა ბრიგადის წევრმა, ინჟინერმა ი. პოროტიმ, ჩვენ ვცდით სამრეწველო რობოტს ტიპური დამმუშავებელი ცენტრისთვის, რომელიც საბჭოთა საწარმოებს ეგზავნებათ. ჯერჯერობით ნამზადის ავტომატური მიწოდების მოწყობილობას თვით შემკვეთი ამონტაჟებს. უახლოეს მომავალში ამ ცენტრის მუშაობა მთლიანად ავტომატიზებული იქნება და მას სამმუშაო წარმოების რობოტიანად მივაწვდით.

გდრ — ნორჩ „გამომგონებელთა სკოლა“

ბერლინი. კითხვაზე — „შეუძლია თუ არა სკოლას მომზადოს გამომგონებლები?“ შვერინის ოლქში დადებითად უპასუხებენ. სწორედ ამ ამოცანას ისახავს და წარმატებითაც წყვეტს პოლიტექნიკური ცენტრი, რომელიც შვერინის პლასტმასის მწარმოებელი მანქანების ქარხანაში მოქმედებს. აქ ყოველ კვირაში მეცადინეობენ სხვადასხვა სკოლის VIII-IX კლასების მოსწავლეები, რომელსაც ტექნიკური შემოქმედებისადმი მიდრეკილება აქვთ. „ჩვენი მიზანია, — ამბობს ცენტრის ხელმძღვანელი პ. ვიზე, — არა მარტო გონივრულად მოვაწყოთ ტექნიკით დაინტერესებულ მოზარდთა დასვენება, არამედ მოვამზადოთ ისინი საზოგადოებრივად სასარგებლო საქმიანობისათვის, აღვზარდოთ ახალგაზრდობა, რომელსაც შეეძლება შრომის ნაყოფიერების ამაღლებისა და პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისათვის მოძრაობის ავანგარდში ყოფნა“.

წლის დამდეგს გახსნილმა შვერინის „გამომგონებელთა სკოლამ“ საქმე იმით დაიწყო, რომ თავის აღსაზრდელებს დაავალა დამოუკიდებლად მოეწყოთ წარმოების ავტომატიზაციის დარგში სამეცადინო კაბინეტი. ამ დავალებას ბავშვებმა წარმატებით გაართვეს თავი, რისთვისაც სპეციალური დიპლომი გადაეცათ. ამჟამად ისინი უფრო რთული ამოცანის გადაწყვეტას შეუდგნენ, რომელიც მათ შვერინელმა მხურვალებმა დაუსახეს. ნორჩმა ნოვატორებმა უნდა შეიმუშაონ სახურავზე კრამიტის დამაგრების უფრო ეფექტიანი ტექნოლოგია. საუკეთესო პროექტი დაპატენტდება, ხოლო მისი ავტორები ფულად ჯილდოს მიიღებენ.

მეგობრობის მიტინგი

პრაღა. ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის XVII ყრილობაზე წარმოგზავნილი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დელეგაცია სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის, სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიული კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარის მ. ს. სოლომენცევის მეთაურობით ეწვია საწარმოო გაერთიანება „ჩკდ-პრაღაში“ შემავალი დედაქალაქის ქარხანა „ჩკდ-ელექტროტექნიკას“.

საწარმოში გაიმართა ჩეხოსლოვაკია-საბჭოთა კავშირის მეგობრობის მიტინგი. საბჭოთა სტუმრებს მიესალმა ქარხნის პარტკომის მდივანი ფ. მუფიკი, რომელმაც ხაზგასმით აღნიშნა, რომ სკკპ XXVII ყრილობის შედეგებს ისტორიული მნიშვნელობა აქვს სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნების ერთიანობის შემდგომი განმტკიცებისათვის.

მიტინგზე გამოვიდა **მ. ს. სოლომენცევი,** რომელსაც დამსწრენი გულთბილად შეხვდნენ.

მ. ს. სოლომენცევმა საწარმოს კოლექტივს უსურვა დიდი წარმატებანი ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის XVII ყრილობის გადაწყვეტილებათა შესრულებაში.

საწარმოში ყოფნის სახსოვრად საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დელეგაციამ მის კოლექტივს საჩუქრად გადასცა გობელენი, რომელზეც აღბეჭდილია ვ. ი. ლენინის პორტრეტი.

● ნიკარაგუა
გამოააშკარავეს შეთქმულება

მანაგუა. ნიკარაგუის სახელმწიფო უშიშროების ორგანოებმა გამოააშკარავეს ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს დანაშაულებრივი შეთქმულება, რომელიც აპირებდა მთელი რიგი ტერორისტული დივერსიული აქციების მოწყობას ჩინანდეგის დეპარტამენტში.

დაპატიმრებულია ამერიკის სახელმწიფო უწყების თერმიტი დაქირავებული, რომლებსაც დავალებული ჰქონდათ აეფეთქებინათ მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზების ანძები და ბამბის გადასამუშავებელი საწარმოები ნიკარაგუის წყნარი ოკეანის სანაპიროზე, აგრეთვე მოემზადებინათ პირობები, რათა ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს სამხედრო კატარღებს მასირებული ირიში მიეტანათ ნიკარაგუის პოტოსის ნავსადგურზე. დაპატიმრებულთა ჩვენებების თანახმად, სალვადორისა და ჰონდურასის მხედრიონი პირდაპირ მხარდაჭერას უწევდა მათ ნიკარაგუის წინააღმდეგ ტერორისტული ზრახვების განხორციელებაში.

ნიკარაგუის სახელმწიფო უშიშროების ორგანოების დროულმა მოქმედებამ აღკვეთა აგრეთვე ქვეყანაში ტერორისტთა ჯგუფის შეგზავნა, რომელსაც უნდა ამოეწყვიტა რამდენიმე გლეხის ოჯახი.

ფოტოფაქტი

● ჩილე
წინააღმდეგობა იზრდება

პინოჩეტის სამხედრო-ფაშისტურმა რეჟიმმა გამოაცხადა, რომ კიდევ ექვსი თვით გაგრძელდება ეგრეთ წოდებული „საშიში მდგომარეობა შინაური სიმშვიდის დარღვევის საფრთხის გამო“. ეს ღონისძიება ხელისუფალთ საშუალებას აძლევს ბრალდების წაუყენებლად დაიპატიმრონ პატრიოტები, მკაცრი ცენზურა დაუწესონ პრესას. აკრძალულია მიტინგებისა და კრებების მოწყობა. ტერორისა და რეპრესიების მეშვეობით პინოჩეტი ცდილობს ჩაახშოს მზარდი მოძრაობა ჩილეში თავისუფლებისა და დემოკრატიის აღსადგენად. მაგრამ ჩილელი პატრიოტები, მთელი ჩილელი ხალხი მზად არის გააკეთიოროს ბრძოლა პინოჩეტის ანტახალხური დიქტატორული რეჟიმის დასამხობად და დემოკრატიის აღსადგენად.

სურათზე: დემონსტრაციის დარბევა სანტიაგოში.

რეიტერ-საკლესიო ფოტო.

მოკლედ

◆ **ნიუ-იორკი.** სსრ კავშირის თხოვნით სასწრაფოდ მოწვეულმა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭომ დაიწყო საბრძოლო ხმელთაშუა ზღვაში მეტად საშიში მდგომარეობის განხილვა, რომელიც შეიქმნა ლიბიის წინააღმდეგ ამერიკის შეერთებული შტატების გამომწვევი აგრესიული მოქმედების შედეგად.

◆ **ლონდონი.** ბრიტანელ ამომრჩეველთა უმრავლესობა არ იწონებს მ. ტეტჩერის კონსერვატიული მთავრობის მიერ განხორციელებულ სოციალურ-ეკონომიკურ პოლიტიკას, რომელიც მსხვილი კერძო კაპიტალის ინტერესებს იცავს. ამას მოწმობს გაზეთ „დეილი ტელეგრაფისათვის“ გელაპის ინსტიტუტის მიერ მოწყობილი საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის შედეგები.

◆ **ბუენოს-აირესი.** არგენტინაში გაიმართა საერთო-ეროვნული გაფიცვა შრომის საყოველთაო კონფედერაციის ინიციატივით. ცხოვრების გაძვირებისა და მშრომელთა მდგომარეობის გაუარესების წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად გამოცხადებულ გაფიცვას მხარი დაუჭირეს დარგობრივმა პროფკავშირებმა დედაქალაქსა და პროვინციებში.

საკლესიო განცხადება

ამერიკის შეერთებული შტატების ადმინისტრაციამ, რომელიც კვლავ ამწვავებს საერთაშორისო ვითარებას, აგრესიული აქცია ჩაიდინა ლიბიის სუვერენული სახელმწიფოს წინააღმდეგ. ამა წლის 24 მარტს ღამით ამერიკის სამხედრო ხომალდებმა და თვითმფრინავებმა დარტყმა მიაყენეს ლიბიის მთელ რიგ ობიექტებს.

ამ მოქმედების წინასწარ განზრახული ხასიათი ეჭვს არ იწვევს. ვაშინგტონში უკვე დიდი ხნის განმავლობაში არ მძლავდნენ თავიანთ მტრულ დამოკიდებულებას ლიბიისადმი. ამ ქვეყნის სანაპიროსთან პრაქტიკულად მუდმივად იყო თავმოყრილი ამერიკის სამხედრო-საზღვაო და სამხედრო-საჰაერო ძალები. სულ ბოლო დღეებში კი შეერთებული შტატების შეიარაღებული ძალების კონცენტრაციამ ამ რაიონში არნახულ მასშტაბს მიაღწია. ლიბიის გარშემო სამხედრო დაძაბულობის გამძაფრებას თან სდევდა უშუალო მუქარა მისი მისამართით.

და ეს ყველაფერი იმიტომ ხდება, რომ ვაშინგტონს არ ეპიტნავება ლიბიაში მიმდინარე შინაგან გარდაქმნათა პროგრესული ხასიათი, ამ ქვეყნის ანტიიმპერიალისტური, დამოუკიდებელი კურსი საერთაშორისო ასპარეზზე.

რა გინდ ყალბ საბაბსაც უნდა იმიზეზებდნენ ახლა ვაშინგტონში, ისინი ვერ გაამართლებენ თავიანთი მოქმედების უაჩაღურ ხასიათს. ჩვენ წინაშეა სახელმწიფო ტერორიზმის აშკარა პოლიტიკა, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების, საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული ნორმების უგულებელყოფა, იმის ცდა, რომ იარაღის ძალით მოახვიონ თავს საკუთარი ნება-სურვილი სხვა ხალხებს, არასტაბილური გაბადონ ვითარება დამოუკიდებელი განვითარების გზაზე დამდგარ სახელმწიფოებში.

ლიბიის საწინააღმდეგო მეკობრული აქცია მკვეთრად ამწვავებს სიტუაციას ისედაც აფეთქებასაშიშ რაიონში, რასაც შეიძლება მოჰყვეს შედეგები, შორს რომ სცდება მის ფარგლებს.

ამით ვლინდება ამერიკის შეერთებული შტატების ზოგადი კურსიც, რომლის მიზანია სუვერენულ სახელმწიფოთა საქმეებში ჩარევა, დედამიწის სხვადასხვა რაიონში დაძაბულობის კერების გაღვივება, საფრთხის შექმნა მშვიდობისა და საერთაშორისო უშიშროებისათვის. ვაშინგტონი აშკარად ცდილობს შეინარჩუნოს და გააძლიეროს კიდეც დაძაბულობა საერთაშორისო საქმეებში, არ დაუშვას საერთაშორისო ვითარების გაჯანსაღება.

ამგვარი მოქმედება არ შეიძლება არ იწვევდეს საყოველთაო შეშფოთებასა და გულისწყრომას.

ლიბიისათვის ამ ძნელ ჟამს საბჭოთა ადამიანები სოლიდარობას უცხადებენ ლიბიელ ხალხს. საბჭოთა კავშირი ლიბიის მხარეზე იყო და არის. მის სამართლიან ბრძოლაში თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის. იგი გულისწყრომით გმობს ამერიკის შეერთებული შტატების აგრესიულ მოქმედებას და მოითხოვს, რომ მას ბოლო მოეღოს.

სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს პრესცენტრში

25 მარტს მოსკოვში, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს პრესცენტრში საბჭოთა და უცხოელი ჟურნალისტებისათვის მოეწყო მიმდინარე საერთაშორისო საკითხებისადმი მიძღვნილი ბრიფინგი.

ბრიფინგზე გამოსულმა ცენტრალურ ევროპაში შეიარაღებისა და შეიარაღებული ძალების შეზღუდვისა და შემცირებისადმი მიძღვნილ ვენის მოლაპარაკებაზე საბჭოთა დელეგაციის მეთაურმა ვ. ვ. მიხაილოვმა დამსწრეთ გააცნო მოლაპარაკების დამთავრებული რაუნდის შედეგები. მან აღნიშნა, რომ ამერიკის შეერთებული შტატები და მისი ნატოელი მოკავშირეები კვლავინდებურად ქმნიან დაბრკოლებებს ცენტრალურ ევროპაში სამხედრო კონფრონტაციის დონის რეალური შემცირების გზაზე, რისთვისაც ნებისმიერად იმიზეზებენ კონტროლისა და შემოწმების ზომებს. დასავლეთის მხარემ ზღვრულად შეკვეცა შესამცირებელი ჯარების ციფრები.

შეეხო რა ამერიკის შეერთებული შტატების პროფოკაციულ მოქმედებას ლიბიის წინააღმდეგ, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს პრესის განყოფილების გამგემ ვ. ბ. ლომეიკომ აღნიშნა, რომ საბჭოთა კავშირში გულისწყრომით და აღშფოთებით აღიქვეს ცნობა ამ სუვერენული არაბული სახელმწიფოს წინააღმდეგ ამერიკის შეერთებული შტატების მიერ მოწყობილი აგრესიული აქციის შესახებ. თვითნებობის ამ აღმაშფოთებელი აქტის ნამდვილი მიზანია ძირი გამოუთხაროს ლიბიის რეჟიმს, რომელიც დამოუკიდებელ საშინაო და საგარეო პოლიტიკურ კურსს ადგას.

სსრ კავშირის საგარეო საქმეთა წარმომადგენლობა პასუხი გასცეს ჟურნალისტთა შეკითხვებს.

(საკლესიო).

● ავშ-თურქეთი
უშედეგო მოლაპარაკება

ანკარა. უშედეგოდ დამთავრდა ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის ჯ. შულცის მოლაპარაკება ანკარაში. დღის წესრიგის ერთ-ერთი მთავარი საკითხი იყო თავდაცვისა და ეკონომიკის დარგში თანამშრომლობის შესახებ დადებული იმ ორმხრივი შეთანხმების განგრძობა, რომელსაც გასული წლის დეკემბერში გაუვიდა ვადა. როგორც პოლიტიკური მეთვალყურენი აღნიშნავენ, მოლაპარაკების მორიგი რაუნდი მიმდინარეობდა მწვავე უთანხმოების ვითარებაში, რომელიც, კერძოდ, გამოიწვია ორი ქვეყნის ურთიერთობის უთანასწორო ხასიათმა.

ვაშინგტონი კვლავ შეეცადა თურქეთისათვის კრედიტების მიცემის სანაცვლოდ ანკარა დაეთანხმებინა იმაზე, რომ რაც შეიძლება ბევრი შეღავათი მიეცა ამ ქვეყნის ტერიტორიაზე მდებარე ამერიკული სამხედრო ბაზებისათვის და კიდევ უფრო მჭიდროდ დაეკავშირებინა იგი ნატოს ბლოკთან. ამავე დროს უპასუხოდ დარჩა თურქეთის მიერ გამოთქმული მისწრაფება, რომ ბოლო მოეღოს ამერიკის შეერთებული შტატების დისკრიმინაციულ მიდგომას სავაჭრო-ეკონომიკური კავშირურთიერთობის განვითარებისადმი.

ჟურნალებს ახალი ნომრები

„საქართველოს კომუნისტი“ № 3-4

გამოვიდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ჟურნალის „საქართველოს კომუნისტის“ მესამე და მეოთხე გაერთიანებული ნომერი, რომელშიც დაბეჭდილია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXVII ყრილობის მასალები.

ჟურნალში გამოქვეყნებულია: საინფორმაციო ცნობა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXVII ყრილობის შესახებ; სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური მოხსენება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXVII ყრილობისადმი, რომელიც გააკეთა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა მ. ს. გორბაჩოვმა; საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXVII ყრილობის რეზოლუცია სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური მოხსენების გამო.

ნომერში დაბეჭდილია სკკპ XXVII ყრილობის მიერ მიღებული საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამა (ახალი რედაქცია), ყრილობის მიერ დამტკიცებული საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის წესდება.

გამოქვეყნებულია დადგენილებანი: საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამის ახალი რედაქციის შესახებ; საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის წესდების ცვლილებების შესახებ; სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1986-1990 წლებისა და 2000 წლამდე პერიოდის ძირითად მიმართულებათა შესახებ.

ჟურნალში დაბეჭდილია სკკპ XXVII ყრილობის მიერ არჩეული საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის შემადგენლობა; სკკპ ცენტრალური სარევიზიო კომისიის შემადგენლობა.

შემდეგ ნომერში დაბეჭდილია საინფორმაციო ცნობა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის შესახებ; ამხანაგ მ. ს. გორბაჩოვის სიტყვა ყრილობის დახურვისას.

რუბრიკით „ყრილობის დელეგატების გამოსვლებიდან“ გამოქვეყნებულია ამხანაგ ჯ. ი. პატიაშვილის სიტყვა.

„პარტიული სიტყვა“ № 5

გამოვიდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ჟურნალის „პარტიული სიტყვის“ მორიგი, მეხუთე ნომერი.

რუბრიკით „ყური მიუგდეთ კრემლის კურანტებს“ დაბეჭდილია ლ. დოლიძისა და შ. თოდუას წერილი — მრავლის მომსწრე და მნახველი, ანუ ქვეყნის უდიდესი მოედანი.

ანშლაგით „სკკპ XXVII ყრილობის დელეგატის გულისთქმა“ გამოქვეყნებულია შ. გულუას — შრომამ აღამაღლა. ქალთა საერთაშორისო დღეს 8 მარტს ეძღვნება სიუბარი — ქალი მშრომელი, ქალი მშვიდობისათვის მებრძოლი. განყოფილებაში „ჩვენი კონსულტაცია“ თქვენ გაეცნობით კ. ელიზბარაშვილის წერილს — პატიოსანი შრომის საზღაური.

ჟურნალს აქვს განყოფილებები: „მებრძოლ დროშასთან ელავს ალამი!“; „რაც საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობამ დაგვისახა“; „ჩვენი რედი;“ „გვწერენ, შენიშნავენ, ამხილებენ“; „მეცნიერება ეძიებს“ და სხვა მასალები.

ყოველივე კეთილისთვის, რაც ადამიანშია

საქართველოს ტელევიზიის გულახდილი დიალოგი მაყურებლებთან

თბილისში ყოფნისას სახტუმროში დილით თუ საღამოს არაერთხელ ჩამირთავს ტელევიზორი. ისმოდა ჩემთვის გაუგებარი ქართული ლაპარაკი და მაინც მონუსხულივით შევცქეროდი ეკრანს. და, მერწმუნეთ, არა მარტო იმიტომ, რომ რედაქციის დავალება მქონდა.

რით არის მიმზიდველი საქართველოს ტელევიზიის საუკეთესო გადაცემები?! თანაც დოკუმენტურ-პუბლიცისტური გადაცემები, რომლებიც მოკლებულია დამაინტერესებელ მოგონილ სიუჟეტს... ამ კითხვაზე რომ პასუხი გამეცა, არაერთხელ მივსულვარ ტელესტუდიაში, პროგრამების სამსახურებისა და მთავრგნელების საშუალებით დაწერილებით გავცნობივარ მისი პროდუქციის ხასიათს.

ყურადღება მიიპყრო ციკლებისა და რუბრიკების გაგზრდილმა სისტემამ. ჩვენ მივეჩვიეთ მხატვრულ-სათამაშო სერიალებს, რომლებიც თვით თავიანთი „მოცულობით“, ხანგრძლივობით, გაჭიერებებით იზიდავენ მაყურებლის ყურადღებას. მაგრამ ამავე მექანიზმს გაცილებით იშვიათად ვიყენებთ დოკუმენტურ ფილმებში. ქართველმა ტელეპუბლიცისტებმა ხანგრძლივი დაკვირვების მეთოდით ფირზე გადაიღეს ქუთაისის საავტომობილო ქარხნის ახალგაზრდული ბრიგადის ცხოვრება. გადაცემას ეწოდა „ნათესაობა“ — ჩვენ ვნახეთ, როგორ მუშაობენ ბიჭები, როგორ სწავლობენ პროფტექნიკურ სასწავლებელში, როგორ წავიდა ჯარში რომელიღაც მათგანი, ვეწვიეთ მათ ოჯახებს. ცხოვრებიდან აღებული სიუჟეტის ხუთი სერია უკვე გადაიცა ეთერში, დანარჩენზე მუშაობა გრძელდება. მაყურებლებისთვის უკვე ნაცნობია ეს შთაგონებული ახალგაზრდული სახეები, ისინი გულგრილნი აღარ არიან თითოეული გმირის ბედისადმი. რაღა თქმა უნდა, რომ ასეთი მიდგომა აღქმის მთლიანობას ქმნის, აუდიტორიის ინტერესს აღვიძებს, მოქალაქეობრივ აქტიურობას აძლიერებს.

ცხადია, სიუჟეტური ერთიანობა ყველა ციკლსა და რუბრიკაში არ გვხვდება, თუმცა სწორედ ეს არის წინ გადადგმული ნაბიჯი ტელეპუბლიცისტიკის ეფექტიანობის თვალსაზრისით. ციკლში „ამბავი ნამდვილი ადამიანებისაა“ ნახავთ მხატვრულ ფილმებს თუ სპექტაკლებს რევოლუციონერებზე, დიდი შემოქმედებითი ბედის მქონე ადამიანებზე, დოკუმენტურ გადაცემებსაც, როგორიცაა, მაგალითად, წარჩინებულ მეჩაიე თამარ ყუფუნიაზე.

რესპუბლიკაში უდიდესი რეზონანსი ჰქონდა და თითქმის თექვსმეტი ათასი გამოხმაურება გამოიწვია გადაცემამ „აღსარება“. მას მთლიანად საფუძვლად ედო რეალური ადამიანის, ყოფილი მასწავლებლის ბედი, რომელიც უკანონო მაქინაციებში ჩაეთრიე და შესაბამისი სასჯელიც მიესაჯა. ამ პატიმართან შეხვედრებისას გადაცემის ავტორებმა დაინახეს, რაღაცნაირად კი, შეიძლება ითქვას, დაიჩარეს კიდეც მისი ზნეობრივი გარდაქმნა პროცესი, დაგვანახვეს როგორ შეიგნო მან დანაშაულებრივი გზის მანკიერებანი და უპერსპექტივობა. აუღელვებლად ვერ მოისმენ, როგორ მიმართავს იგი ეკრანიდან ოჯახს, ახლობლებს, თანამშრომლებს, როგორ ლაპარაკობს იმის თაობაზე, რომ უბრალო, პატიოსანი, თავისუფალი ცხოვრება მისთვის სანუკვარი ოცნება გახდა. ეს ლიტმტივად გასდევს ამგვარ გადაცემებს: ყოველი მათგანი გვარწმუნებს, რომ პატიოსანი შრომა, ადამიანის ღირსეული ცხოვრება ყველაზე მისაწვდომი და კეთილშობილურია, ყველანი ადასტურებენ გულწრფელი და პრინციპული ადამიანური ურთიერთობის, შერკინტილურ ცდუნებათა მიმართ სულიერ ღირებულებათა უპირატესობას.

საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობის წინა დღეებში ბევრი მისი დელეგატი — მუშა თუ აკადემიკოსი — გამოვიდა ტელევიზიით და პასუხი გასცა შემოთავაზებულ კითხვებს. კითხვები, პირდაპირ გეტყვით, იოლი არ იყო, დამაფიქრებელი და სადისკუსიო გახლდათ. რას ნიშნავს ახლებურად აზროვნება? ვჩერთ თუ არა სიმართლის თქმა და დარწმუნებული ხართ თუ არა, რომ იგი ყოველთვის იმარჯვებს? როგორ უყურებთ სიმდიდრეს? როგორია ქართული საბჭოური ხასიათის დადებითი და უარყოფითი ნიშნები (მე მოვისმინე, რა ჭკვიანურად, დასაბუთებულად მსჯელობდა ყოველივე ამაზე ცნობილი კინორეჟისორი ე. შენგელაია, ასევე ყოველობის დელეგატი)? რატომ გავრცელდა ასე მეშჩანური, მომხმარებლური მისწრაფებანი? საიდან ჩნდება ბიუროკრატიზმის, საქმისადმი დეგრადირების, საკუთარ მოვალეობათა უგულებელყოფის მიკრობი? ეს საკითხები უშუალოდ ეხმიანებოდა იმავე შეხვედრიას ფილმს „ცისფერი მთების“ პრობლემატიკას და საქართველოს ტელევიზიის ბევრ პუბლიცისტურ გადაცემას.

ასეთივე კალეიდოსკოპი წარმართება ქართველ ტელეეკონომატოგრაფისტთა მუშაობაც. მათი დევიზია საკირბორტო, მწვავე საკითხები, ცხოვრებისეული პრობლემების გულახდილად დასმა, მათ მიერ შექმნილი ნამუშევრები კი ასევე აშკარად გათვალისწინებულია მაყურებელთა გამოხმაურებისათვის. პარალელებიც კი შეგვიძლია გავავლოთ ზოგიერთ გადაცემასა და ფილმს შორის. მაგალითად, დოკუმენტურ სერიალში „სამთავისის ქრონიკა“ ნახვენებია ერთი მიტოვებული სოფლის ბედი, რომელსაც კომკავშირელები მეურვეობენ. რესპუბლიკის კომკავშირის ცენტრალურ კომიტეტთან ერთად ტელევიზიამ ახალგაზრდული ბრიგადა ჩამოაყალიბა. გადაცემა უბრალოდ კი არ გვიჩვენებს, თუ როგორ უბრუნდება სოფელი ნორმალურ ცხოვრებას, არამედ აანალიზებს კიდეც მომხდარი ამბის მიზეზებს, სოციალურ ასპექტებს. იქვე კი, „საქტელეფილმის“ სტუდიაში, გადაღებულია კინოლენტი „დაბრუნება“, რომელშიც ახალგაზრდები კამერის წინ გამოდიან და გვიამბობენ, თუ რატომ არის, რომ ბევრმა კავშირი გაწყვიტა მამაპაპეულ ადგილებთან. მაგრამ, შეიძლება ითქვას, სურათში განსაკუთრებით საინტერესოა ნაყოფიერი მიწის სახე, რომელიც თავის დროზე ინდუსტრიალიზაციამ შეიწირა, ახლა კი ასე ელოდება გამოჩენას და მოყვარული პატრონის დაბრუნებას.

მიმართავს რა ცხოვრების აქტუალურ კოლიზიებს, ტელეეკონომატოგრაფი სათამაშო სიუჟეტებსაც მიმართავს, მაგრამ ამასთანავე ცდილობს შეინარჩუნოს მუშაობის წმინდა ტელევიზიური, რეპორტაჟული მეთოდები. მაგალითად, ემოციურად დიდად გამოხატველი ფილმი „ლაქა“, რომელიც ახალგაზრდა რეჟისორს ა. ცაბაძეს ეკუთვნის, ეხმიანება იმ პუბლიცისტურ გადაცემებს, რომლებშიც გულახდილად არის ლაპარაკი ახალგაზრდობის აღზრდის ხარვეზებზე. დავასახელებ ისეთ ციკლებს როგორიცაა „მგელნენა ჯოჯოხეთში“ ან „ჩემი შენი სატკივარი“.

ტელევიზიაში სწორი აღმოჩნდა დოკუმენტური, მეცნიერულ-პოპულარული და მხატვრული მიდგომის შერწყმა. მაგალითად, მრავალსერიანი ფილმი „გზა“ (მხატვრული ხელმძღვანელი და რეჟისორი — მ. კოკოჩაშვილი) უაღრესად მეცნიერულად და ამასთანავე საინტერესოდ გვაცნობს ქართველი ერის ისტორიას, ახალგაზრდებს უნერგავს მშობლიური მიწა-წყლის სიყვარულს, ასწავლის თავისი ისტორიის სათანადოებასა და ფასვებს. გ. ლევაშოვთუმანიშვილის სურათში „გამჭოლი მოქმედება“ დიდ შთაბეჭდილებას ახდენს ქართული თეატრის გამორჩეული მოღვაწის მ. თუმანიშვილის — მოქალაქის, პატრიოტისა და ხელოვნის პორტრეტი.

ამასთანავე ერთი სატელევიზიო ორგანიზმის ფარგლებში „ცოცხალი მეტყველებისა“ და კინემატოგრაფის თანაარსებობა ბევრ პრობლემას წამოჭრის. პირველი ძირითადად გათვალისწინებულია მხოლოდ რესპუბლიკური აუდიტორიისათვის, მეორე, ჩვეულებრივ, ცენტრალურ ტელევიზიაში იწყებს ცხოვრებას. ეს უკანასკნელი გარემოება, სამწუხაროდ, არცთუ იშვიათად იწვევს ადგილობრივი კოლორიტის ნიველირებას, ან პირიქით, მისი რაღაც ეგზოტიკის მომბეზრებელ წარმოჩენას. ეს ბევრი რესპუბლიკის ტელესტუდიის უბედურებაა, რომლებიც ხშირად უშვებენ ტელეფილმებს, ტყუბებივით რომ ჰგვანან ერთმანეთს.

მხატვრულ ხარისხზე გავლენას ახდენს ის გარემოებაც, რომ ტელეკინოს აშკარად აკლია სათანადო საწარმოო ბაზა დამოუკიდებელი განვითარებისათვის. მაგრამ არსებულ პირობებშიც კი შეუწყნარებელია კინემატოგრაფის საშუალებები „ცოცხალი მეტყველების“ ხერხების მარტოოდენ დუბლირება: მიზანი ერთია, მაგრამ მეთოდიკა და განხოგადების დონე მაინც იდენტური არ არის. პრაქტიკაში კი როგორ ხდება ზოგჯერ? გაუგებარია, რით განსხვავდება ტელეგადაცემის „ა ნ, ვთქვათ, ტელეფილმი „15 წლის შემდეგ“, რომელიც მთლიანად პრიმიტიული ინტერვიუების სერიისგან შესდგება. იგი ეკუთვნის იმავე რეჟისორ ზ. ინანიშვილს, რომელმაც „დაბრუნება“ გადაიღო, და თუმცა ჩანფიქრი საინტერესოა, მხატვრული ხერხების სიღატაკეს, სუსტ სახეობრივ საწყისს გვიჩვენებს.

რამდენიმე განვლილი წლის მანძილზე, შემოქმედებითი კოლექტივისა და საქართველოს ტელევიზიის ხელმძღვანელობის მეცადინეობის შედეგად აქ შეძენილია არა მარტო პროფესიული გამოცდილება, არამედ, უწინარეს ყოვლისა, საბრძოლო სულისკვეთება, ცხოვრების პროცესებში აქტიური ჩარევის, მის გარდაქმნაში უშუალო მონაწილეობის პოზიცია. ტელეპუბლიცისტებს გული შესტკივათ, სურთ გაიაზრონ ეკონომიკის, სოციალური მშენებლობისა თუ მორალის აქტუალური საკითხები. საქართველოს ტელევიზია ნაკლოვანებებს არ ჩქმალავს და ამასთანავე თავს არიდებს ფერების გამუქებას, გულის დამაბეზრებელ ტონებს, გადაცემებში თუ ფილმებში იგრძნობა ადამიანის საუკეთესო თვისებებისათვის ბრძოლის ნათელი. ეს ტრადიციები უნდა შეინარჩუნონ და განავითარონ.

და ბოლოს, რესპუბლიკის ტელემაუწყებლობისათვის დამახასიათებელია გულწრფელობა, ღია ინტონაციები, რასაც მრავალმხრივ განსაზღვრავს გადაცემებში მშრომელი საზოგადოებრიობის წარმომადგენელთა ფართო მონაწილეობა. აქ ერიდებიან ეკრანზე უკვე მობეზრებული ფიგურების ჩვენებას; თუ ძველი გადაცემების გმირებს უბრუნდებიან, ცდილობენ გვიჩვენონ მათში მომხდარი ცვლილებები, სულიერი ზრდა. საზოგადოებრივი აზრის ეუშმარიტად დემოკრატიულ ტრიბუნად წარმოაჩენს ტელევიზიას, უფრო მეტად, ვიდრე სხვა სტუდიებს, პირდაპირი გადაცემების რიცხვიც, რომლებშიც ტელეფონის მეშვეობით შეუძლიათ ჩაერთონ მაყურებლები. ასეთია გამოშვებანი, რომლებიც კომუნალური მეურნეობის საკითხებს ეხება. ამ ციტა ხნის წინათ კი საქართველოს ტელევიზიამ დილის დრო (რეგულარული გადაცემების დაწყებამდე) დაუთმო სელექტორულ სატელევიზიო თათბირებს აგრომრეწვის პ



ᲒᲣᲨᲘᲜ, 27 მარტს მთელ მსოფლიოში აღინიშნა ტრადიციული „თეატრის საერთაშორისო დღე“. ახლანდელი დღესასწაულის დევიზი ასეთი იყო: „თეატრი მშვიდობისა და პროგრესისათვის ბრძოლაში“. ეს ბუნებრივია, რადგან სცენიდან ნათქვამი მართალი სიტყვა, ყოველთვის ეხმაურებოდა მშვიდობისა და ურთიერთგაგების უწმინდეს იდეალებს. ეს სიტყვა კიდევ უფრო მძლავრი უნდა იყოს ახლა, როდესაც 1986 წელი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ მშვიდობის წელიწადად არის გამოცხადებული.

ამ იდეალებისათვის ბრძოლაში თავის სიტყვას ამბობს ქართული თეატრი, რომლის სისხლსავსე ცხოვრებაზე მოგითხრობთ ქვემოთ მოთავსებული მასალები.

„მწვანე კონტინენტი“ აღტაცებულია

რუსთაველის თეატრის ავსტრალიაში გასტროლების გამო

ᲩᲕᲔᲜᲘ რესპუბლიკის საზოგადოებრიობამ იცის, რომ რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრი საგასტროლოდ იმყოფება ავსტრალიაში. ამ სახელგანთქმულმა კოლექტივმა იქ ჩაიტანა თავისი ცნობილი დადგმები — ბ. ბრეხტის „კავკასიური ცარცის წრე“ და უ. შექსპირის „რიჩარდ III“.

ქართველმა მსახიობებმა მონაწილეობა მიიღეს ავსტრალიის ქალაქების პერტისა და ადელაიდის დიდ საერთაშორისო ფესტივალებში და თავიანთი გამოსვლები დაასრულეს სიდნეიში.

საბჭოთა კულტურის წარგზავნილების (იგი პირველი თეატრალური კოლექტივია, ჩვენი ქვეყნიდან „მწვანე კონტინენტზე“ რომ ჩავიდა) ავსტრალიაში ყოფნის 40 დღის მანძილზე საქართველოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტი რამდენჯერმე დაუკავშირდა თეატრს და ესაუბრა ჟურნალ „საბჭოთა ხელოვნების“ რედაქტორს ნოდარ გურაბანიძეს, რომელიც თან ახლავს თეატრს საგასტროლო მოგზაურობაში. ბევრ თქვენგანს მოსმენილი ექნება ეს რეპორტაჟები. ბევრიც დღეს პირველად გაეცნობა „კომუნისტის“ საშუალებით.

მაშ, სიტყვა მივცეთ ნოდარ გურაბანიძეს:

— 25 მარტს, ნაშუადღევს დავტოვეთ ადელაიდა და საათნახევრიანი ფრენის შემდეგ დავეშვით ქალაქ სიდნეიში. ახლა, როცა უკან დარჩა რუსთაველის თეატრის მიერ ნათამაშევი 20 სპექტაკლი თებერვალ-მარტის 40 დღის მანძილზე, როცა პერტისა და ადელაიდის საერთაშორისო ფესტივალები თეატრის ისტორიის კუთვნილებად იქცა, შეიძლება დაბეჯითებით ითქვას, რომ ქართულმა თეატრმა კიდევ ერთი დიდი წარმატება მოიპოვა საერთაშორისო მასშტაბით. პრესა, რადიო და განსაკუთრებით ტელევიზია ყოველდღიურად ეხმაურებოდა ჩვენს სპექტაკლებს.

ჩვენ თან მოგვაქვს ვიეტნამი ფასტა ქალაქ სიდნეიში. ახლა, როცა უკან დარჩა რუსთაველის თეატრის მიერ ნათამაშევი 20 სპექტაკლი თებერვალ-მარტის 40 დღის მანძილზე, როცა პერტისა და ადელაიდის საერთაშორისო ფესტივალები თეატრის ისტორიის კუთვნილებად იქცა, შეიძლება დაბეჯითებით ითქვას, რომ ქართულმა თეატრმა კიდევ ერთი დიდი წარმატება მოიპოვა საერთაშორისო მასშტაბით. პრესა, რადიო და განსაკუთრებით ტელევიზია ყოველდღიურად ეხმაურებოდა ჩვენს სპექტაკლებს.

ჩვენ თან მოგვაქვს ვიეტნამი ფასტა ქალაქ სიდნეიში. ახლა, როცა უკან დარჩა რუსთაველის თეატრის ... ვერაგობასა და სიხარბეს. ეს არის ნამდვილი თეატრი ამ სიტყვის უდიდესი მნიშვნელობით. ეს არის მაძიებელი კოლექტივი, სადაც ყურადღების ცენტრში, რასაკვირველია, რამაზ ჩხიკვაძეა, უკვე მთელ მსოფლიოში ცნობილი, დიდად შექებული მსახიობი. ავსტრალიას უკანასკნელი წლების მანძილზე არ უნახავს ამ დონის სპექტაკლები“.

გაზეთი „ადვერტაიზერი“: „რუსთაველის თეატრი სიცოცხლით სავსე, უდიდესი თეატრია მთელ მსოფლიოში. მისი „რიჩარდ III“ ანტიოვზაა უსაცოცხლო და ფრთხილი ინტერპრეტაციებისა, რომლებიც საკმაოდ გვინახავს ჩვენ... უეჭველია, რომ რამაზ ჩხიკვაძე ჩვენი დროის ერთ-ერთი საუკეთესო მსახიობია და შესაძლოა არა მარტო ჩვენი დროისა“.

ახლა ვნახოთ ნაწყვეტი გაზეთ „ოსტრელიენის“ საკმაოდ მოზრდილი სტატიიდან, რომლის სათაურია: „სუპერთეატრი უკანასკნელი 8 წლის მანძილზე“:

„ადელაიდამ ნახა ორი უდიდესი ავტორის ორი სპექტაკლი, რომელთა მსგავსი არასოდეს უნახავს ამ ქალაქს. ეს სპექტაკლები თითქოს ელვარე შუქშია გატარებული და ბრწყინვალება ყველას თვალს სჭრის. თეატრმა გაბედულად და უმწიკვლოდ წარმოგვიდგინა ბრეხტი... რომ უცქირო ამ შესანიშნავ დასს, იგი უტოლდება ჩვენი თეატალური ინსტიტუტის სამწლიან სწავლებას“...

ნოდარ გურაბანიძესთან საუბრის შემდეგ რობერტ სტურუამ აიღო ყურმილი და თეატრის საერთაშორისო დღე მიულოცა ჩვენი რესპუბლიკის ყველა თეატრალურ კოლექტივს, მსახიობებსა და რეჟისორებს, რა თქმა უნდა, მაყურებელს.

დღეს რუსთაველის თეატრი საშობაოდ ლონდონში გამოემგზავრება.

Თ. ᲙᲝᲒᲐᲘᲫᲔ,
საქართველოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტის კომენტატორი.

„ᲙᲝᲜᲪᲔᲠᲢᲘ ᲝᲠᲘ ᲕᲘᲝᲚᲘᲜᲝᲡᲐᲗᲕᲘᲡ...“

ᲠᲝᲑᲔᲠᲢ სტურუას თითქმის ყველა ბოლო სპექტაკლის პირველივე ეპიზოდი მაყურებელთა დარბაზის მძაფრი დემარშით იწყება: მუსიკით, ხმაურით, სიმღერით, ყვირილით, ხან მასობრივი ცეკვით თუ მწყობრი რიტმული მოძრაობით, სცენაზე შეიჭრილი, დიონისური აღტყინებით აღგზნებული მსახიობთა დასი უმალვე იწყებს მოქმედებას და გაოგნებულ მაყურებელს თავის ორბიტაში იქცევს. ამავე ეპიზოდებში ვხედავთ ხოლმე სპექტაკლის პროტაგონისტებს, რომლებიც სხვა თეატრალურ პერსონაჟებში შერეულან და ამ მოძრაკი პანორამის შექმნაში მონაწილეობენ.

ახალი სპექტაკლი „კონცერტი ორი ვიოლინოსათვის აღმოსავლური საკრავების თანხლებით“, რომელიც თეატრმა საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობას მიუძღვნა, უჩვეულოდ მშვიდად იწყება — წყნარი, გაბმული მელოდიის ხმაზე თეთრი კაბინეტის კარს ფრთხილად შემოაღებს მსახიობი გიორგი ხარაბაძე, ასევე ფრთხილად შეაფალეიერებს სივრცეს: კედელზე კიდია კოკა მახარაძის მიერ შესრულებული ლენინის გრაფიკული პორტრეტი (მნიშვნელოვანი დეტალია სპექტაკლისათვის — ასეთი, არატრადიციულად პორტრეტი მხოლოდ მაღალ პარტიულ თუ სახელმწიფო თანამდებობის პირთა კაბინეტებშია) და გაემართება საკვანძოსაკენ. ამავე წუთს კაბინეტის გვერდით, დასასვენებელი ოთახიდან (ესეც ნიშანდობლივი შტრიხია) გამოდის მსახიობი გიორგი გეგეჭკორი და იწყება „კონცერტი ორი ვიოლინოსათვის“, მისთვის დამახასიათებელი თემის განვითარებით, ვარიაციაში შემოჭრილი ახალი მოტივებით, მოულოდნელი შემობრუნებით, რომელიც ძირითად მელოდიას ნიუანსებითა და შუქ-ჩრდილებით ავსებს. „კონცერტი“ კი მართლაც ვირტუოზული ოსტატობით მიჰყავთ გ. გეგეჭკორსა და გ. ხარაბაძეს. პიესის ავტორები — ამირან ჭიპჭინაძე და რობერტ სტურუა თავიდანვე ქმნიან უჩვეულო სტუდიას; ერთმანეთს ხვდება ძველი (რომელიც სულ ახლახან გაათავისუფლეს) და ახალი (რომელიც სულ ახლახან დანშნეს) ხელმძღვანელი. მათს დიალოგში, რომელიც ზმირად ღუღლიანტური სიფიცხით მიმდინარეობს, ერთმანეთს ენაცვლება შეტევა და თავდაცვა, ნახტომი და უკუქცევა, ჩხვლეტა და აცილება, ასერიგად დამახასიათებელი დაშნით მოფარიკაავეთათვის (თუმცა ერთს ძველებური პორტფელი უჭირავს, ხოლო მეორეს — თანამედროვე „დიპლომატი“). თვითაღსარებით და თვითირონიით საკმარისად შეზავებული ეს დიალოგ-ორთაბრძოლა სცილდება პირადი ინტერესების სფეროს და ალეგორიულ-სიმბოლურ ფენებს ეზიარება. ეს ბუნებრივია, ...